დეზინფომეტრი

ანტიდასავლური დეზინფორმაცია და პროპაგანდა

მაისი-ივნისი 2020

GRASS
REFORMANDA

სარჩევი

შესავალი 4

ძირითადი მიგნებები 5

NATO-სა და აშშ-ის წინააღმდეგ მიმართული დეზინფორმაცია 8

ევროკავშირის წინააღმდეგ მიმართული დეზინფორმაცია 11

დეზინფორმაცია საერთაშორისო საკითხებზე და რუსეთის მხარდამჭერი პროპაგანდა 14

ქვეყნის შიგნით მიმდინარე პროცესებზე გავრცელებული დეზინფორმაცია 16

კორონავირუსთან დაკავშირებული დეზინფორმაცია 19

ძირითადი აქტორების სტატისტიკა 24

ანგარიშში მოხვედრილი წყაროების სტატისტიკა 23

ავტორები:

იაკობ ლაჩაშვილი, ნიკა მამულაძე, დავით ნაროუშვილი

რედაქტორები:

პაატა გაფრინდაშვილი, მარიამ წიწიკაშვილი

ანგარიში მომზადდა „საქართველოს რეფორმების ასოციაციის“ (GRASS) მიერ „პარტნიორობა ღია ინფორმაციისთვის“ (Open Information Partnership (OIP)) მხარდაჭერით. ანგარიშში გამოთქმული მოსაზრებები ეკუთვნის ავტორებს და შესაძლოა არ გამოხატავდეს OIP-ის პოზიციებს.

© საქართველოს რეფორმების ასოციაცია 2020

www.grass.org.ge

www.factcheck.ge

შესავალი

ანტიდასავლური და პრორუსული დეზინფორმაცია და პროპაგანდა საქართველოში წლებია აქტიურად ვრცელდება. აღნიშნული ანგარიშის მიზანია, გამოიკვლიოს დეზინფორმაციის გამავრცელებელი საშუალებების გზავნილები და მკითხველს გააცნოს მათ დისკურსში არსებული ტენდენციები, როგორც ქვეყნის საგარეო, ისე საშინაო პოლიტიკურ პროცესებთან დაკავშირებით.

ანგარიში მიმოიხილავს ანტიდასავლური და პრორუსული დეზინფორმაციის გზავნილებს 2020 წლის 1 მაისიდან 2020 წლის 31 ივნისის პერიოდში. მონიტორინგში მოხვდა 10 ონლაინ მედია, 8 Facebook-გვერდი, რომლებიც შეირჩა "საქართველოს რეფორმების ასოციაციის" პროექტ „ფაქტ-მეტრის" ონლაინ და სოციალური მედიის რეგულარული მონიტორინგის ფარგლებში. საერთო ჯამში, დამონიტორინგდა 396 მასალა (სტატია, ვიდეო, ფოტო, Facebook-პოსტი) საიდანაც ანგარიშში მოხვდა 102 მედია პროდუქტი. ნაშრომში მიმოხილულია ის მასალები, რომლებშიც ყველაზე მეტად გამოიკვეთა პრორუსული და ანტიდასავლური მედიის გზავნილები და რომლებიც კამპანიურად ვრცელდებოდა. მონიტორინგის შედეგად გამოვლენილი ანტიდასავლური და პრორუსული დეზინფორმაცია ხუთ ძირითად მიმართულებადაა გადანაწილებული.

სოციალურ ქსელში დეზინფორმაციის გავრცელების მასშტაბის გასაზომად გამოყენებულია Facebook-ის ანალიტიკური ხელსაწყო CrowdTangle.

ძირითადი მიგნებები



NATO-სა და აშშ-ის წინააღმდეგ მიმართული დეზინფორმაცია

- საქართველოს დამოუკიდებლობა სრული ბუტაფორიაა, რადგან ქვეყანა აშშ-ის კოლონიას წარმოადგენს
- საქართველოში ორი ქალი პრეზიდენტია: სალომე ზურაბიშვილი და კელი დეგნანი
- „პოლიტპატიმრების“, გიგი უგულავასა და ირაკლი ოქრუაშვილის შეწყალება ქართველი ხალხის ნების საწინააღმდეგოდ, აშშ-ის დავალებით მოხდა
- ადამ კინზინგერი საქართველოს ფაქტობრივი მმართველი, პრეზიდენტი, მეფე და პატრიარქია
- ვაშინგტონი წინასაარჩევნოდ საქართველოში სამხედრო გადატრიალებისთვის ემზადება
- აშშ რეპრესიული და სრულად პოლიციური ქვეყანაა და ტოლერანტობაზე ჩვენ ჭკუას ვერ გვასწავლის
- აშშ-სთან „თანამშრომლობით“ საქართველო სარგებელს ვერ იღებს
- აშშ და დასავლეთი სოციალურ ქსელში სიტყვის თავისუფლებას ზღუდავს
- NATO სულ უფრო სუსტდება, ამიტომ საქართველომ უნდა გადახედოს საგარეო პოლიტიკას და უსაფრთხოებს გარანტიები სხვა მიმართულებით ეძებოს
- ნეიტრალიტეტი საქართველოს ევროატლანტიკური კურსის რეალური ალტერნატივაა

ევროკავშირის წინააღმდეგ მიმართული დეზინფორმაცია

- დასავლეთში ინტეგრაციას თავისი წესები და პირობები აქვს, რაც ლგბტ პროპაგანდის დათანხმებას გულისხმობს
- საქართველო ევროკავშირის კოლონიაა
- საქართველოსა და უკრაინის ტერიტორიები ევროკავშირის მიერ არის ოკუპირებული და დასავლეთი ცდილობს აღნიშნული ორი ქვეყანა რუსეთს ხელოვნურად დააშორს
- ევროატლანტიკური კურსი NATO-სა და ევროკავშირში გაწევრებისკენ გადასახედია
- ევროკავშირი დღემდე ვერ უმკლავდება იმ კორონავირუსს, რომელიც ჩინეთმა რამდენიმე დღეში დაამარცხა
- ევროკავშირი არათუ საქართველოს, არამედ ევროკავშირის მომავალიც აღარაა, რაც კორონავირუსის პანდემიამ დაადასტურა
- დასავლეთის მიერ გაწეული ყოველი ფინანსური დახმარება საქართველოსთვის ახალი ვალდებულების ყულფია, რომელშიც ქვეყანას თავს აყოფინებენ
- ევროკავშირში გაწევრიანების შემთხვევაში, შესაძლოა, თურქეთმა მიგრანტთა ნაკადების საბერძნეთის ნაცვლად საქართველოსკენ მიმართოს
- დასავლეთის მოსახლეობის უმრავლესობას, რომელიც ქრისტიანულ ღირებულებებზე აღიზარდა, მართავს უზნეო და უღმერთო სატანისტების უმცირესობა
- ქართველები არ უნდა გაევროპელდნენ და ქართველებად უნდა დარჩნენ (ქართველობას გვართმევენ)
- ევროპული ქვეყნების დაწყებითი სწავლების სკოლებსა თუ კოლეჯებში მიმდინარეობს მოზარდი თაობის მიზანმიმართული ზნეობრივი დეგრადაციის პროცესი
- ევროკავშირმა საქართველოს აიძულა ისეთი „ანტიადამიანური კანონების“ მიღება, როგორებიცაა: „უცხოელისთვის ბინადრობის უფლება“, „ანტიდისკრიმინაციული კანონი“, „იუვენალური იუსტიციის კანონი“

დეზინფორმაცია საერთაშორისო საკითხებზე და რუსეთის მხარდამჭერი პროპაგანდა

- აუცილებელია საქართველომ რუსეთთან პირდაპირი და მაღალი დონის დიალოგი დაიწყოს დასავლური სახელმწიფოების ჩარევის გარეშე
- დასავლეთი საქართველოს რუსეთთან პირისპირ დიალოგს ხელს განზრახ უშლის, რათა რუსეთთან ურთიერთობის ნორმალიზების შედეგად მასზე გავლენები არ დაკარგოს
- საქართველოს რუსეთის გარდა სხვა ალტერნატივა არ აქვს და ქართულ-რუსული ურთიერთობის აღდგენის გარეშე საქართველოს განვითარება და გაერთიანება წარმოუდგენელია
- 2008 წლის აგვისტოს ომში ქართველი ჯარისკაცების დაღუპვაში „ამ ავანტიურის მთავარ ორგანიზატორ საკაშვილს უფრო დიდი წვლილი მიუძღვის... ვიდრე მოსკოვს“.
- ქართული ანტირუსული მასმედია რუსეთში კორონავირუსით ინფიცირებულთა რაოდენობის ზრდით გამოწვეულ კმაყოფილებას ვერ მალავს
- „მიმდინარეობს იდეოლოგიურ-პროპაგანდისტული ომი, რომელიც რუსეთსა და ყველა სხვა თავისუფლების მოყვარულ ერებს სწორედ დასავლურმა ნეოლიბერალიზმმა გამოუცხადა“.

- მეორე მსოფლიო ომში მოკავშირეების გამარჯვება უპირველესად სტალინისა და სსრკ-ს დამსახურება იყო
- დასავლეთი მეორე მსოფლიო ომის ისტორიის გადაწერას ცდილობს
- რუსეთის „დროებითი ოკუპაციის“ გარდა თურქეთს სამუდამოდ აქვს „ოკუპირებული“ საქართველოს ძირძველი ტერიტორიის 34%, ხოლო აზერბაიჯანი დავით გარეჯის მიტაცებას ცდილობს. ამიტომაც ყველა ოკუპანტ მეზობელს თანაბრად უნდა ვებრძოლოთ

ქვეყნის შიგნით მიმდინარე პროცესებზე გავრცელებული დეზინფორმაცია

- აზერბაიჯანელები გარეჯისა და ქვემო ქართლის მიტაცებას ცდილობენ
- აზერბაიჯანი რუსეთის მსგავსად ცდილობს საქართველოს მიწების ოკუპაციას
- ადამიანები, რომლებმაც არ იციან ქართული ენა, საქართველოს სრულფასოვანი მოქალაქეები არ არიან
- Facebook-ის მიერ „ნიუსფრონტის“ საკუთარი პლატფორმიდან წაშლა სიტყვის თავისუფლების წინააღმდეგ მიმართული ქმედებაა
- „ბავშვის უფლებების კოდექსის“ მიზანი ოჯახის ინსტიტუტის დანგრევაა
- ლუგარის ლაბორატორია საიდუმლო საქმიანობას ეწევა და ის ამერიკელების ინტერესებს ემსახურება
- 5G ტექნოლოგია სახიფათოა ადამიანის ჯანმრთელობისთვის და მის შესახებ რეალურ ინფორმაციას მოსახლეობას უმალავენ
- 5G ტექნოლოგიები ადამიანების ტოტალურ კონტროლს ისახავს მიზნად

კორონავირუსთან დაკავშირებული დეზინფორმაცია

- კორონავირუსი ჩვეულებრივი გრიპის მსგავსი ნაკლებად საშიში ვირუსია
- ბილ გეიტსმა დააფინანსა კორონავირუსის შექმნა უჰანის ლაბორატორიაში, რათა შემდეგ სავალდებულო ვაქცინაციით შეამციროს მსოფლიოს მოსახლეობა
- ბილ გეითსი, ელონ მასკი და მასონური ჯგუფები მოსახლეობის 1 მილიარდამდე შემცირებას გეგმავენ და ამისთვის მასკის მიერ გამოგონილ მიკროჩიპებს გამოიყენებენ, რომელსაც კორონავირუსის ვაქცინის საშუალებით შეიყვანენ ადამიანების ორგანიზმში
- კორონავირუსის წარმოქმნა ამერიკელების მიერ ზღვაში ჩაღვრილი ნავთობის გასანადგურებლად შექმნილი ხელოვნური ბაქტერიის - „სინტიას“ „დამსახურებაა“
- 5G ანტენები კორონავირუსის გავრცელებას უწყობს ხელს
- ლუგარის ლაბორატორიაში კორონავირუსებზე გასაიდუმლოებული კვლევები 2012 წლიდან ტარდება და ამერიკელებმა სპეციალურად არ დაუშვეს საქართველოში კორონავირუსის გავრცელება, რათა ამაში ლუგარის ლაბორატორია არ დაედანაშაულებინათ
- ვაქცინაცია მოსახლების გაწყვეტისა და გადაჯიშების იარაღია მასონების ხელში
- პირბადეების ტარება საზიანოა ადამიანის ჯანმრთელობისთვის და ისინი არათუ გვიცავენ კორონავირუსით, არამედ ზრდიან ინფიცირების რისკს
- პირბადეები იდეოლოგიური იარაღია და მისი ტარებით ადამიანებს მონურ მორჩილებას აჩვევენ
- დასავლელი ლიბერალური ძალები კორონავირუსის საბაბით ქართულ მართლმადიდებლურ ეკლესიას ებრძვიან

NATO-სა და აშშ-ის წინააღმდეგ მიმართული დეზინფორმაცია

სამონიტორინგო პერიოდში დეზინფორმაციისა და პროპაგანდის ტრადიციული სამიზნის, ამერიკის შეერთებული შტატების დისკრედიტაციის არაერთი მცდელობა გამოვლინდა. პროპაგანდის მთავარ ხაზს აშშ-ის, როგორც საქართველოს მეტროპოლიისა და ქვეყნისთვის ზიანის მომტანი „პარტნიორის" წარმოჩენა წარმოადგენდა, რომელიც ქვეყნის შიდა პოლიტიკაში მუდმივად ერევა და თბილისს საკუთარი ინტერესების მიხედვით მოქმედებას აიძულებს. ანტიამერიკული გზავნილების გავრცელებით აქტიურობდნენ: **გაზეთი „საქართველო და მსოფლიო", ასევე Facebook გვერდები „ანტილიბერალური ლიგა", „კარდჰუ", „საქართველო უპირველეს ყოვლისა", „ანტილიბერალური დოქტრინა", „პოლიტიკანო", „დედაქალაქი" და ონლაინ გამოცემები „საქინფორმი", „ნიუსფრონტი", „თვალსაზრისი" .**

საქართველო აშშ-ის კოლონიაა და ვაშინგტონი თბილისს საკუთარი მიზნების მისაღწევად იყენებს

ისევე როგორც გასულ თვეებში, ანტიამერიკული განწყობების გამაღვივებელი ჯგუფები მაის-ივნისის პერიოდშიც ამტკიცებდნენ, რომ აშშ საქართველოს მეგობარი სახელმწიფო არაა და რეალურად ვაშინგტონი თბილისს საკუთარი მიზნების მისაღწევად იყენებს. ნარატივის მიხედვით, საქართველოს დამოუკიდებლობა სრული ბუტაფორიაა, რადგან ქვეყანა აშშ-ის კოლონიას წარმოადგენს და თბილისში გადაწყვეტილებები ვაშინგტონის ნება-სურვილის მიხედვით მიიღება. პრორუსული გამოცემა „საქინფორმის" მიხედვით, საქართველოში ორი ქალი პრეზიდენტია: პირველი, ქვეყნის „ფიქტიური პრეზიდენტი", სალომე ზურაბიშვილია, ხოლო მეორე - ამერიკის ელჩი საქართველოში, კელი დეგნანი. „საქინფორმის" მტკიცებით, აშშ-ის მიერ საქართველოსათვის გაწეული რამდენიმე მილიარდიანი დახმარება საკმარისი აღმოჩნდა იმისათვის, რომ „[ამერიკელებს] ჰქონდეთ ჩარევის უფლება საგარეო და საშინაო პოლიტიკაში, სასამართლო და საარჩევნო სისტემებში, მოითხოვონ ცვლილებები კონსტიტუციაში და დაადგინონ პროპორცია მმართველ პარტიასა და ოპოზიციას შორის პარლამენტში". საგულისხმოა, რომ ანტიამერიკული განწყობების შესაქმნელად, ისევე როგორც, ტრადიციულად, თურქეთის შემთხვევაში, აშშ-ის საქართველოს ოკუპანტ სახელმწიფოს, რუსეთის მსგავს აქტორად წარმოჩენა და მასთან გათანაბრებაც დაფიქსირდა.

აღსანიშნავია, რომ 2020 წლის მაისში, პრეზიდენტ სალომე ზურაბიშვილის მიერ პოლიტიკური პატიმრების, გიგი უგულავასა და ირაკლი ოქრუაშვილის შეწყალებას, რასაც წინ 8 მარტის შეთანხმების შესრულებასთან დაკავშირებით, საქართველოს დასავლელი პარტნიორების, მათ შორის ამერიკელი პოლიტიკოსების მოწოდებები უძღვოდა, პრორუსული გამოცემების მხრიდან ხისტი რეაქცია მოჰყვა და ეს გადაწყვეტილება ქართველი ხალხის ნების საწინააღმდეგო მოვლენად შეფასდა. მაგალითად, „ნიუსფრონტის" ვებგვერდზე ისიც კი დაიწერა, რომ „აშშ-ის იმპერიალიზმმა გაიმარჯვა ქართველ ხალხზე, ქართველი ხალხის მიერ არჩეული პრეზიდენტის ხელით", ხოლო წარმომადგენელთა პალატის წევრი და საქართველოს მეგობართა ჯგუფის თანათავმჯდომარე, ადამ კინზინგერი, რომელიც საქართველოში არსებული პოლიტიკური კრიზისის დროს განცხადებებს ხშირად აკეთებდა, „საქართველოს მესამეხარისხოვან მმართველად" მოიხსენიეს. Facebook გვერდი

„ანტილიბერალური დოქტრინა“ კი კინზინგერის შეფასებისას კიდევ უფრო შორს წავიდა და კონგრესმენს „საქართველოს ფაქტობრივი მმართველი, პრეზიდენტი, მეფე და პატრიარქი“ უწოდა. ამავე პერიოდში, აშშ-ის დისკრედიტაციის მიზნით, ანტიდასავლურმა Facebook გვერდმა - „კარდჰუ“, „სტალინის ციტატა“ გაავრცელა, რომლის მიხედვითაც სტალინი ამბობს: „მე აქამდე მეგონა, რომ დემოკრატია ხალხის ძალაუფლებას ნიშნავდა, მაგრამ ამხანაგმა რუზველტმა ამიხსნა, რომ დემოკრატია ამერიკელი ხალხის ძალაუფლებას ნიშნავს".

ვაშინგტონი წინასაარჩევნოდ საქართველოში სამხედრო გადატრიალებისთვის ემზადება

საარჩევნო სისტემასთან დაკავშირებით შექმნილი პოლიტიკური კრიზისის დროს, საქართველოს ამერიკელი პარტნიორები ანტიდასავლური ჯგუფების სამიზნეში კიდევ არაერთხელ მოექცნენ. კერძოდ, „საქართველოს საშინაო საქმეებში ამერიკელი სენატორების, ელჩებისა და ევროპელი დეპუტატების ღიად ჩარევა“ მიუღებლად მიიჩნია პრორუსულმა გამოცემამ „თვალსაზრისი“. გამოცემის მიხედვით, აშშ-ს, ქართველი ხალხის ნების საწინააღმდეგოდ, საქართველოს ხელისუფლების შეცვლისა და მთავრობაში „სისხლიანი რეჟიმის“ დაბრუნების მცდელობა ექნება. „თვალსაზრისის“ მიერ გავრცელებული, პრორუსული „პატრიოტთა ალიანსის“ ყოფილი ლიდერის, სოსო მანჯავიძის Facebook პოსტის მიხედვით კი, „[ამერიკელი პოლიტიკოსების] მთავარი პრეტენზიები ხელისუფლების მიმართ მისი არასაკმარისი და არათანამიმდევრული მონობაა...უფრო ხალისიანი მონებია საჭირო, პატრონის სურვილებს რომ წამსვე გებულობენ“. „თვალსაზრისი“ კიდევ ერთი სტატიაში მკითხველს უფრო რადიკალურ სცენარს სთავაზობდა და ამტკიცებდა, რომ „ვაშინგტონი საქართველოში სამხედრო გადატრიალებისთვის ემზადება“ და „სახელმწიფოს გადამტრიალებლების ციხიდან გამოშვება ამ გეგმის ნაწილია“. განსხვავებული მოსაზრება ქონდა პრორუსული ორგანიზაცია „ევრაზიული ინსტიტუტის“ დამფუძნებელს, გულბაათ რცხილაძეს, რომელმაც გაზეთ „საქართველო და მსოფლიოსთან“ ინტერვიუში განაცხადა: „ამერიკელები, იქნება ეს ლიბერალი თუ არალიბერალი, აწარმოებენ ერთ პოლიტიკას საქართველოს მიმართ. მათთვის არ აქვს მნიშვნელობა, “ნაციონალური მოძრაობა” გაიმარჯვებს თუ “ოცნება” ეს არ აინტერესებთ, რადგან დაბალანსებული აქვთ თავიანთი პოზიცია ნაცებშიც და ქოცებშიც, ამიტომ დიდი ტრაგედია არ არის მათთვის, როგორი კონფიგურაცია იქნება პარლამენტში“. საგულისხმოა, რომ ამავე ინტერვიუში რცხილაძე აცხადებს: „2019 წელს იგეგმებოდა რუსეთთან სერიოზული ხიდების გადება, ერთმანეთს უნდა შეხვედროდნენ საქართველოსა და რუსეთის პრეზიდენტები და ამ საქმეში მე არაფორმალურად ვიყავი ჩართული...ეს საქმე სახელმწიფო საკითხებისადმი ზურაბიშვილის არასერიოზული დამოკიდებულების გამო ჩავარდა“.

პოლიციელის მიერ აფრო-ამერიკელი ჯორჯ ფლოიდის მკვლელობის შემდეგ აშშ-ში გამართული საპროტესტო აქციების სერია და სამართალდამცავთა მიერ მიღებული ზომები ადგილობრივმა ანტიამერიკულმა ძალებმა ვაშინგტონის მადისკრედიტებელ კიდევ ერთ საშუალებად გამოიყენეს და საქართველოში განვითარებულ შიდაპოლიტიკურ პროცესებსაც დაუკავშირეს. კერძოდ, პრორუსული გამოცემა „საქართველო და მსოფლიო“ ადამ კინზინგერის მიერ აშშ-ში მიმდინარე საპროტესტო აქციების შეფასებას გამოეხმაურა და აშშ-ს ბრალი ორმაგ სტანდარტებში დასდო: „ისინი, ვინც ამერიკაში მაღაზიებს ძარცვავს, დამნაშავეები არიან, საქართველოში კი ხაზინის

ქურდი და პარლამენტის შენობაში შეჭრის მსურველები პოლიტპატიმრები?“. Facebook გვერდი „დედაქალაქი“ ქართულ მედიას აშშ-ში მიმდინარე საპროტესტო გამოსვლებისთვის „სათანადო ყურადღების არ დათმობის“ გამო აკრიტიკებდა. Facebook გვერდი, „პოლიტიკანო“ კი წერდა, რომ „აშშ რეპრესიული და სრულად პოლიციური ქვეყანაა“, სადაც „პოლიციურ სექტორზე“ უზარმაზარი რესურსები იხარჯება, ხოლო „სააკაშვილმა თავის დროზე აიღო და უბრალოდ ამერიკული არაადამიანური პოლიციური მართვის მოდელი გადმოაკოპირა, თვითონ არ გამოუგონებია ველოსიპედი. ასე რომ თუ გმობთ მიშას, ჯერ აშშ-ით დაიწყეთ“. „თვალსაზრისზე“ გამოქვეყნებული კიდევ ერთი სტატია კი აშშ-ის მიერ საქართველოსთვის დემოკრატიული წინსვლის მხრივ გაწეული დახმარების საჭიროებას კითხვის ნიშნის ქვეშ აყენებდა: „ამათი კარნახით არქმევ კრიმინალებს „პოლიტპატიმრებს“...ამათ ჩვენ რა ჭკუა უნდა გვასწავლონ, ტოლერანტობის აკვან ერს, რომელსაც შემწყნარებლობის კლასიკური ტრადიციები შეგვიქმნია???“.

ანტიამერიკულ გზავნილებს სხვადასხვა Facebook გვერდი აჟღერებდა. Facebook გვერდი - „საქართველო უპირველეს ყოვლისა“ აცხადებდა: „აშშ და ევროკავშირი ბანდიტების, ყაჩაღების, მკვლელების, ნარკომანების, ლგბტ-ს მფარველი ქვეყნებია“, ხოლო „პოლიტიკანო“ Facebook მომხმარებლებს აშშ-ში არსებულ რასიზმსა და შავკანიანების მონობის ისტორიებს ახსენებდა. ანტიამერიკული ჯგუფების მიხედვით, აშშ-სთან „თანამშრომლობით“ საქართველო სარგებელს ვერ იღებს, რადგან ვაშინგტონი მუდმივად საკუთარი ინტერესების დასაცავად მოქმედებს და „ყველაფერს კოლონიური საზომით ზომავს“. ამის საილუსტრაციოდ, პრორუსულ გამოცემა „თვალსაზრისს“ საქართველოს სასარგებლო წიაღისეულის საკითხი, კერძოდ კაზრეთის ოქროს საბადოდან საზღვარგარეთ კვირაში „80-100 კილომდე სუფთა ოქროს გადინება“ მოჰყავს, რის გამოც, „ამერიკელი მასონები საქართველოს გულისთვის თავს იკლავენ და ქვეყანას ქართველებისგან ცლიან“. აღნიშნულ ნარატივის გაგრძელებას წარმოადგენდა „თვალსაზრისის“ კიდევ ერთი სტატია, რომელშიც ტელეკომპანია „ობიექტივის“ ჟურნალისტი, ვალერი კვარაცხელია ამტკიცებდა: „ჩვენ ჩვენი მწირზე მწირი შესაძლებლობებით მსოფლიოში უძლიერეს ამერიკას თავდაუზოგავად ვეხმარებით, მისი ინტერესების დასაცავად ჩვენი ახალგაზრდების სიცოცხლეს არ ვიშურებთ, ისინი კი მხოლოდ გვიყენებენ...ეს რა თანამშრომლობაა, უფრო სწორად, ეს რა უსინდისობაა?!“.

საქართველო აშშ-სთან თანამშრომლობით რეალურ სარგებელს ვერ იღებს, ქართველი ახალგაზრდები კი საკუთარ სიცოცხლეს წირავენ მათთვის

ანტიდასავლური აქტორები დასავლეთს და კონკრეტულად აშშ-ის ბრალს სოციალურ ქსელში სიტყვის თავისუფლების შეზღუდვაშიც სდებდნენ. კერძოდ, გულბაათ რცხილაძეს განცხადებით, პრორუსული და ანტიდასავლური გამოცემის, „ნიუსფრონტის“ მთავარი რედაქტორის პოზიციაზე მუშაობის ბოლო დღეს, „ნიუსფრონტ-საქართველოს ფეისბუკ-გვერდი, რომელსაც 14 ათასი გამომწერი ჰყავდა, დაბლოკეს“. რცხილაძე აცხადებდა, რომ „ნიუსფრონტ-საქართველომ მთელი ლიბერალ-სოროსული ჭაობი აასისინა“, რასაც გამოცემის ყოფილი რედაქტორი გაწეული სამუშაოს წარმატების ინდიკატორად მიიჩნევდა.

NATO სულ უფრო სუსტდება, ამიტომ საქართველომ და უსაფრთხოებს გარანტიები სხვა მიმართულებით ეძებოს

სამონიტორინგო პერიოდში ანტიდასავლური დეზინფორმაციისა და პროპაგანდის კიდევ ერთი ტრადიციული მიმართულება, კერძოდ, NATO-ს დისკრედიტაციისა და საქართველოს მიერ ალიანსში გაწევრიანებისკენ მისწრაფების კრიტიკის კამპანია გამოიკვეთა. NATO-ს საწინააღმდეგოდ მომუშავე პროპაგანდის მიხედვით, ალიანსი დროის გასვლასთან ერთად, უფრო და უფრო სუსტდება. ამ მხრივ, პრორუსული გამოცემა „თვალსაზრისი“ ამტკიცებდა, რომ „ამერიკის დაპირისპირებამ და ამერიკული ინტერესების აზიაში გად

ასროლამ, ალიანსს ჩამოართვა უსაფრთხოების გარანტორის სტატუსი. ამით კი გაზარდა რუსული გავლენები ევროპაში და საფრთხის ქვეშ დააყენა წევრი ქვეყნების სტაბილურობა“. ნარატივის მიხედვით, NATO-ს შეუქცევადი დასუსტება საქართველოს იძულებულს ხდის, გადახედოს საკუთარ საგარეო პოლიტიკას და უსაფრთხოების გარანტიები სხვა მიმართულებით ეძებოს.

საქართველომ უნდა გამოაცხადოს ნეიტრალიტეტი რათა აღარ ვიყოთ დიდი სახელმწიფოების დაპირისპირების საგანი

საქართველოს ევროატლანტიკური კურსის მოწინააღმდეგე ძალები, ალტერნატივის სახით, ქვეყნის ნეიტრალიტეტს განიხილავდნენ. აღნიშნული მოსაზრების ფართო საზოგადოების მიერ გაზიარებას ხელს სხვადასხვა გამოცემა უწყობდა, კერძოდ, გამოცემა „თვალსაზრისმა“ „სრულიად საქართველოს ეროვნული ყრილობის, პრეზიდიუმის” თავმჯდომარის, აკაკი ჯორჯაძის პოზიცია გაავრცელა, რომელიც აცხადებდა: „გადასარჩენად გთავაზობთ: საქართველოს ნეიტრალიტეტს – განსაკუთრებული სტატუსით! (არც “ჩრდილოეთი”, არც “დასავლეთი” – აშშ, ნატო თუ სხვა…არამედ, ყველასთან თანაბრად, კეთილმეზობლურად). კიდევ ერთი ანტიდასავლური და პრორუსული გამოცემის - „საქართველო და მსოფლიოს“ მიხედვით, „[საქართველოში] არ უნდა ტარდებოდეს არც ნატოს და არც სხვა რომელიმე სამხედრო–პოლიტიკური ბლოკის წვრთნები, რომლებიც ჩვენთვის არაფრის მომცემია, შარისა და უბედურების გარდა. წინააღმდეგ შემთხვევაში, საქართველო გადაიქცევა მეორე სირიად, სადაც ქვა ქვაზე არ დარჩა დიდ სახელმწიფოთა დაპირისპირების შედეგად“ - ამის გამო, გამოცემის მიხედვით, ქვეყანამ მიუმხრობლობის პოლიტიკა უნდა გაატაროს.

ევროკავშირის წინააღმდეგ მიმართული დეზინფორმაცია

მონიტორინგის შედეგად გამოვლინდა წყაროები, რომლებიც ევროკავშირის დისკრედიტაციისათვის დეზინფორმაციასა და პროპაგანდას ავრცელებდნენ: Facebook-გვერდი „ალტ-კლუბი“, „ალტ-ინფო“, გამოცემა „თვალსაზრისი“, Facebook-გვერდი „ანტილიბერალური დოქტრინა“, გამოცემა „საქინფორმი“, Facebook-გვერდი „პოლიტიკანო“, Facebook-გვერდი „კარდჰუ“, Facebook-გვერდი „სტალინი“, გაზეთი „საქართველო და მსოფლიო“, მოძრაობა „ძლევაი საკვირველი“.

მონიტორინგის წინა პერიოდში პრორუსული გამოცემების მიერ კორონავირუსის პანდემიის საკითხით ევროკავშირის დისკრედიტირებისთვის მასშტაბური პროპაგანდა გამოვლინდა. დეზინფორმაცია ევროკავშირთან დაკავშირებით მაისი-ივნისშიც გაგრძელდა, თუმცა მისი მთავარი ფოკუსი კორონავირუსი აღარ იყო, არამედ ძირითადად ტრადიციული ნარატივები დაბრუნდა. თუმცა პანდემიასთან დაკავშირებული მესიჯები სრულიად არ გამქრალა.

ანტიდასავლური წყაროები ასევე ამტკიცებდნენ, რომ „დასავლეთში ინტეგრაციას თავისი წესები და პირობები აქვს, რაც ლგბტ პირთა თანასწორობას და ლგბტ პროპაგანდის დათანხმებას გულისხმობს". კვლავ მეორდებოდა ნარატივი, რომ საქართველო დასავლეთის კოლონიაა.

უკრაინისა და საქართველოს ტერიტორიული მთლიანობის რღვევა დასავლეთის წახალისებით რუსეთთან დაშორების შედეგია

გამოცემა „თვალსაზრისისა" და Facebook-გვერდ „ანტილიბერალური დოქტრინის" მიხედვით, უკრაინაში მაიდანი დასავლეთის მიერ „მოეწყო". ასევე, დასავლურმა დემოკრატიულმა სახელმწიფოებმა დიდი როლი ითამაშეს ორი ქვეყნის ოკუპაციაში (საქართველოს და უკრაინის), რადგან ხავერდოვანი რევოლუციებით ისინი მოსკოვს დააშორა, რამაც „სამომავლოდ განულებული დიპლომატია და ამ სახელმწიფოების ტერიტორიული მთლიანობის რღვევა მოიტანა.

ევროკავშირი დღემდე ვერ უმკლავდება იმ ვირუსს, რომელიც ჩინეთმა რამდენიმე დღეში დაამარცხა

რაც შეეხება კორონავირუსთან დაკავშირებით გავრცელებულ პროპაგანდისტულ ნარატივებს, მაგალითად, „საქინფორმის" რედაქტორი არნო ხიდირბეგიშვილი ამტკიცებდა, რომ „საქართველო ისწრაფვის დასავლეთისკენ, საიდანაც ქართველები საქართველოში გამორბიან [კორონავირუსის გამო]" და „უალტერნატივო ევროატლანტიკური კურსი NATO-სა და ევროკავშირში გაწევრებისკენ" გადასახედია. ასევე, კვლავ გავრცელდა მესიჯი, რომ „საფრანგეთსა და იტალიაში მოსახლეობა ევროკავშირის დროშებს მასობრივად ყრის". პრორუსული გამოცემა „საქინფორმის" მიხედვით, „ევროკავშირი დღემდე ვერ უმკლავდება იმ კორონავირუსს, რომელიც ჩინეთმა რამდენიმე დღეში დაამარცხა". დიმიტრი ლორთქიფანიძის განცხადებით, ევროკავშირი არათუ საქართველოს, არამედ ევროკავშირის მომავალიც არაა, რაც კორონავირუსის პანდემიამ დაადასტურა. აგრეთვე გამეორდა პროპაგანდისტული ნარატივი დასავლეთის მიერ პანდემიის დროს საქართველოს დახმარების შესახებ. მის მიხდვით, „დასავლეთის მიერ გაწეული ყოველი ფინანსური დახმარება საქართველოსთვის ახალი ვალდებულების ყულფია, რომელშიც ქვეყანას თავს აყოფინებენ".

საანგარიშო პერიოდში აქტუალური იყო ევროპაში მიგრანტებისა და მათი „პრივილეგირებულობის" საკითხი. მაგალითად, იყო მტკიცება, რომ „საფრანგეთში ერთ-ერთ რეგიონში პოლიციას დაავალეს, რომ რამადანის დროს მუსლიმურ დასახლებებში საქმიანობა შეამცირონ". მეორე მხრივ, კი გავრცელდა დეზინფორმაცია, თითქოს ევროკავშირში გაწევრიანების

შემდეგ საქართველო, როგორც თურქეთის ყველაზე ახლო მეზობელი წევრი, რომელთანაც სახმელეთო საზღვარი აქვს, შეიძლება ბრიუსელსა და ანკარას შორის დაპირისპირებაში შანტაჟის იარაღი ან მსხვერპლი გავხდეთ. ეს კი, შესაძლოა, გამოიხატოს თურქეთის მიერ აქამდე საბერძნეთისკენ მიმართული მიგრანტთა ნაკადების საქართველოსკენ დაძვრაში, როგორც „ევროკავშირზე დარტყმაში“.

ევროკავშირში გაწევრიანების შემთხვევაში თურქეთმა მიგრანტთა ნაკადები შესაძლოა საბერძნეთის ნაცვლად საქართველოსკენ მომართოს

მონიტორინგის პერიოდში აქცენტი კეთდებოდა დასავლური ღირებულებების უარყოფით მხარეზე. პრორუსული გაზეთის, „საქართველო და მსოფლიო“ თანახმად, „დასავლეთის მოსახლეობის უმრავლესობას, რომელიც ქრისტიანულ ღირებულებებზე აღიზარდა, მართავს უზნეო და უღმერთო სატანისტების უმცირესობა“. მეორე პრორუსულ ონლაინ გამოცემა „თვალსაზრისზე“ კი ვრცელდებოდა მესიჯი, რომ ქართველები არ უნდა გაევროპელდნენ და ქართველებად უნდა დარჩნენ, რადგან ქართველები სხვა რასას - კავკასიელებს - მიეკუთვნებიან და განსაკუთრებული მენტალიტეტი აქვთ. ანტიდასავლური წყაროები აპელირებდნენ ევროპის წარსულითაც და იხსენებდნენ, რომ ბელგიას 70 წლის წინ კოლონია ჰქონდა აფრიკაში და მონები ჰყავდათ, მაშინ როდესაც საქართველოში „სტუმარ-მასპინძელი“ დაიწერა, მე-12 საუკუნეში მეფე ქალი იყო და 26 საუკუნის განმავლობაში ანტისემიტიზმი არასდროს ყოფილა. ამიტომ ევროპელებმა საქართველოს ტოლერანტობა და ადამიანის უფლებები არ უნდა ასწავლოს. დეზინფორმაცია დასავლურ განათლებასაც შეეხო, თითქოს „ცივილიზებული“ დასავლეთის დაწყებითი სწავლების სკოლებსა თუ კოლეჯებში მიმდინარეობს მოზარდი თაობის მიზანმიმართული გამოთაყვანების პროცესი“.

ანტიდასავლური და პრორუსული წყაროები მხარს უჭერდნენ პოლონეთის ხელისფუფლებას, რადგან „პოლონეთი უარს ამბობს ლგბტ იდეოლოგიაზე“. იგივე წყაროები იმეორებდნენ პოლონეთის პრეზიდენტის განცხადებას, რომ „ ლგბტ იდეოლოგია კომუნისტურ იდეოლოგიაზე საშინელია“.

მოძრაობა „ძლევაი საკვირველის“ მიერ გავრცელებულ მასალაში გამოყოფილი იყო ანტიდასავლური მესიჯები. მის მიხედვით, დასავლეთთან საქართველოს მეგობრობა დამღუპველია, რადგან „დასავლეთმა საქართველოში უკვე დააკანონა „ანტიადამიანური კანონები“, როგორებიცაა: 300 ათასი უცხოელისთვის მუდმივი ცხოვრების უფლების მიცემა, „ანტიდისკრიმინაციული კანონი“, „იუვენალური იუსტიციის კანონი“, „ეტაპრობრივად სკოლებში მამათმავლობის პროპაგანდისტული საგნების შეტანა, ჯარში მამათმავლობის ლეგალიზაცია, „ერთსქესიანთა ქორწინების ლეგალიზაცია“, „ჯანდაცვის სამინისტროს მიერ მამათმავლობის ფსიქიატრიულ დაავადებათა სიიდან ამოღება“, „ჩიპიანი (უალტერნატივო) პირადობის მოწმობების დანერგვა“, რაც უახლოეს მომავალში მოქალაქეთა სხეულებში კანქვეშა ინპლანტის ჩანერგვის წინაპირობა გახდება და „სექტების ლეგალიზაცია“.

ევროკავშირი საქართველოს მისთვის მიუღებელ „ანტიადამიანურ“ კანონმდებლობას ახვევს თავს

დეზინფორმაცია საერთაშორისო საკითხებზე და რუსეთის მხარდამჭერი პროპაგანდა

მონიტორინგის შედეგად გამოვლინდა წყაროები, რომლებიც რუსეთის მხარდამჭერ დეზინფორმაციასა და პროპაგანდას ავრცელებდნენ: Facebook-გვერდი „სტალინი“, Facebook-გვერდი „საქართველო უპირველეს ყოვლისა“, გაზეთი „საქართველო და მსოფლიო“, გამოცემა „ნიუსფრონტი“, Facebook-გვერდი „წმინდა ომი - ინფორმაციები, ანალიზი“, ვებგვერდი didisamamulo.ge, Facebook-გვერდი „ანტილიბერალური დოქტრინა“, გამოცემა „თვალსაზრისი“.

მონიტორინგის პერიოდში აქტიურად ვრცელდებოდა მესიჯი რუსეთთან მოლაპარაკებების აუცილებლობაზე, რასაც დეზინფორმაციის თანახმად, ევროპა და აშშ უშლის ხელს. კონკრეტულად, პრორუსული წყაროები რუსეთის ფედერაციის საბჭოს საერთაშორისო ურთიერთობათა კომიტეტის თავმჯდომარის, კონსტანტინე კოსაჩოვის, მიერ საქართველოსა და უკრაინისთვის საპარლამენტო დიალოგის აღდგენის იდეას გამოეხმაურნენ. მათ საქართველოს პარლამენტის ვიცე-სპიკერის, გიორგი ვოლსკის, მიერ წინადადების უარყოფა დასავლური ზეწოლით ახსნეს, ხოლო რუსეთთან პირისპირ დიალოგი ძალზე მნიშვნელოვნად შეაფასეს.

დასავლეთი საქართველოს რუსეთთან მოლაპარაკებებში ხელს უშლის რათა მასზე გავლენა არ დაკარგოს

„საქართველო და მსოფლიოს“ თანახმად, რუსეთმა რამდენჯერმე გადმოდგა პირველი ნაბიჯი და საქართველომ კი რამდენჯერმე თქვა უარი დიალოგზე, თუმცა არა თავისი ნებით. დასავლეთის მიერ საქართველოსთვის რუსეთთან ერთი-ერთზე მოლაპარაკების „აკრძალვას“ იმით ხსნიან, რომ ქართულ-რუსული დიალოგით შესაძლოა ის პრობლემები გადაწყდეს, რომლებიც საქართველოს მოსახლეობისთვის უპირველესია და რუსეთმა შეიძლება საქართველოს „მაპზე უკეთესი“ შესთავაზოს. გამოცემის თანახმად, „ევროპელმა და ამერიკელმა ლიდერებმა ზუსტად იციან, რა შეიძლება თქვას რუსულმა მხარემ და ამიტომ არ სურთ მოლაპარაკებებზე საქართველოს გაშვება შუამავლების – ე.ი. მეთვალყურე-ზედამხედველების გარეშე“. კოსაჩევის წინადადებას გამეხმაურა დიმიტრი ლორთქიფანიძეც. იგი ასევე მიიჩნევს, რომ დასავლეთი საქართველოს ურთიერთობების ნორმალიზებაში ხელს უშლის. მან ყველა გააკრიტიკა, ვინც კოსაჩევის წინადადება რუსული პროპაგანდის გამოვლინებად აღიქვა და დაიწუნა, რაც, მისი აზრით, ანტირუსული ისტერიის გამოვლინება იყო. ლორთქიფანიძის თანახმად, ქართულ-რუსულ ურთიერთობების აღდგენის აუცილებლობა არსებობს, „რადგან სხვანაირად ქართული სახელმწიფოს განვითარების შესაძლებლობა წარმოუდგენელია“, ვინაიდან „საქართველო რუსეთზე პლანცეტითაა მიბმული“. დასავლეთს რუსეთთან პირისპირ მოლაპარაკების ხელისშეშლის გარდა იმის გამოც ადანაშაულებდნენ, რომ მას „არ სურს საქართველოს ძლიერი მოსახლეობა ჰყავდეს, რადგან ეკონომიკურად ძლიერი ერი [დასავლეთის] მონობის უღელს გადააგდებს“. აღნიშნული პრობლემის გადაჭრის გზად „თვალსაზრისზე“ გამოქვეყნებული მოსაზრება კრემლში ქართული ლობის გაძლიერებას

რუსეთის გარეშე საქართველოს განვითარება შეუძლებელია, რადგან „საქართველო რუსეთზე პლანცეტითაა მიბმული“

გვთავაზობს. ხოლო „ნიუსფრონტის“ მიხედვით, დეოკუპაციის პროცესისა და რუსეთთან ურთიერთობების ნორმალიზაციის პროცესის დასაწყებად საქართველომ, რაც შეიძლება მალე, „პირდაპირ და უმაღლეს დონეზე“ უნდა დაიწყოს რუსეთთან მოლაპარაკებები. მის მიხედვით, ეს ნაბიჯი მოსახლეობის უმრავლესობის ნებას ასახავს და თუ საქართველოს ხელისუფლება „ვინმეს ნებართვას ელოდება, განაცხადოს ღიად და ხალხი გადაწყვეტს რა მოიმოქმედოს“. ე.ი. „ნიუსფრონტმა“ რუსეთთან პირისპირ უმაღლესი დონის მოლაპარაკებების დასაწყებად პლებისციტის/რეფერენდუმის იდეა წამოაყენა.

პრორუსული წყაროს მტკიცებით, ხელისუფლება, რომელიც NATO-ში ინტეგრაციისკენ ისწრაფვის და რუსეთთან ურთიერთობების დალაგებისკენ ნაბიჯს არ დგამს, ყოველთვის იქნება ცუდი. მათ მიხედვით, ყველა „მედასავლეთე“ ერთმანეთზე უარესია, ხოლო „რუსეთუმეობა“ უარყოფითად არ უნდა განიხილებოდეს. „საქართველო და მსოფლიოს“ მიხედვით, იმის აღიარება, რომ „რუსეთის გარდა სხვა ალტერნატივა არ გვაქვს და შეიძლება შიმშილით დავიხოცოთ“, დასავლეთის ღალატად მიიჩნევა; რეალურად კი დასავლეთს საქართველოს „მოსუფთავება“ სჭირდება, რათა ის „ევროპა-ამერიკის პოლიგონად“ აქციოს.

გამოცემა „თვალსაზრისი“ წერდა, რომ 2008 წლის აგვისტოს ომში ქართველი ჯარისკაცების დაღუპვაში „ამ ავანტიურის მთავარ ორგანიზატორ სააკაშვილს უფრო დიდი წვლილი მიუძღვის... ვიდრე მოსკოვს“.

„ნიუსფრონტი“ წერდა, რომ კორონავირუსით ინფიცირებულთა რაოდენობაში რუსეთის მეორე ადგილზე გადასვლის გამო „ანტირუსული მასმედია საქართველოში კმაყოფილებას ვერ მალავს“. ამასთან, გამოცემა ლიბერალურ მასმედიას ბელარუსის დისკრედიტაციაშიც ადანაშაულებდა.

II მსოფლიო ომში გამარჯვება უპირველესად სტალინის და სსრკ-ს დამსახურება იყო და დასავლეთში ისტორიის გადაწერას ცდილობენ

მონიტორინგის პერიოდში საბჭოთა კავშირის მიერ საქართველოს ფაქტობრივი ანექსიის გამამართლებელი ნარატივი გამოვლინდა, რომლის მიხედვითაც საქართველო საბჭოთა კავშირის შემადგენლობაში რომ არ ყოფილიყო, ან თურქეთის ვილაიეთად იქცეოდა, სამთავროებად დაიშლებოდა ან საერთოდ გაქრებოდა, როგორც სახელმწიფო. მეორე მსოფლიო ომის კონტექსტში კი აქტუალური იყო სტალინისა და სსრკ-ის როლის წინ წამოწევა და გაზვიადება. პრორუსული მედია „ნეოლიბერალებს“ მეორე მსოფლიო ომის ისტორიის გადაწერასა და სტალინის როლის დაკნინებაში ადანაშაულებდა. ამასთან, „საქართველო და მსოფლიომ“ კიდევ ერთი დეზინფორმაციული მასალა გაავრცელა კრემლის პროპაგანდისტის იაკობ კედმის განცხადებების სახით, თითქოს „პოლონელებმა მეორე მსოფლიო ომის პერიოდში უფრო მეტი ებრაელი დახოცეს, ვიდრე გერმანელებმა“, რისი აღიარებაც პოლონეთში არ მომხდარა. მეორე მსოფლიო ომის კონტექსტში კიდევ ერთი დეზინფორმაცია გაჟღერდა ობიექტივის ეთერში და დაიბეჭდა გაზეთში „საქართველო და მსოფლიო“. მის მიხედვით, „კოლექტიურმა დასავლეთმა მეოცე საუკუნეში კაცობრიობას ორი მსოფლიო ომი მოახვია თავს“ და მეორე, „ყველაზე სასტიკ ომში საბჭოთა ხალხმა, იოსებ სტალინის გენიალური ხელმძღვანელობით, ბრწყინვალე გამარჯვება

იზეიმა, მაგრამ არც კაცობრიობისა და არც რუსეთის წინააღმდეგ ომი არ დამთავრებულა“. დეზინფორმაციის მიხედვით, ომის გაგრძელება ხან „ფაშისტური ურჩხულის აღზევებაში“ გამოიხატება და ხან „ციფრიზაცია-ვაქცინაცია-ჩიპიზაციაში“, თუმცა ყველა მათგანი რუსეთის წინააღმდეგაა მიმართული და კაციობრიობის დაჩოქებას ისახავს მიზნად.

პრორუსული პროპაგანდა მოსახლეობას მოუწოდებდა, 9 მაისს საზეიმო განწყობით შეხვედროდა. ხოლო „ნიუსფრონტის“ ყოფილმა რედაქტორმა, გულბაათ რცხილაძემ, გაზეთიდან „საქართველო და მსოფლიო“ მეორე მსოფლიო ომის ვეტერანებს ამცნო, რომ „რუსეთის მთავრობა ქართველ ვეტერანებს მთელი ქვეყნის მასშტაბით ერთჯერად ფულად დახმარებას მიმდინარე წელსაც გაუწევს“ (პიროვნებაზე 200 ლარის ოდენობით), რისთვისაც რუსეთის ინტერესების სექციის ხელმძღვანელის სახელზე განცხადება უნდა დაეწერათ და მისთვის (ან ვეტერანთა არასამთავრობო ორგანიზაციის ხელმძღვანელისთვის - ტიტე ლეფსაიასთვის) ჩაებარებინათ. ხოლო ისინი განცხადებებს საქართველოში შვეიცარიის საელჩოში არსებულ რუსეთის ფედერაციის ინტერესების სექციის ხელმძღვანელს, კონიშევს, გადასცემდნენ.

თურქეთი ისეთივე ოკუპანტია როგორც რუსეთი და მის წინააღმდეგაც შესაბამისად უნდა ვიბრძოლოთ

საქართველოში ანტითურქული ნარატივის გავრცელებით მოსახლეობაში თურქეთის მტრის ხატად აღქმის ჩამოყალიბება რუსული პროპაგანდის ერთ-ერთ ამოცანას წარმოადგენს. აღნიშნული მესიჯები მაისი-ივნისის საანგარიშო პერიოდშიც გამოვლინდა. საინტერესოა, რომ ერთ-ერთი პროპაგანდისტული მასალა ანტითურქულ ნარატივს აშშ-ში Black Lives Matter-ის („შავკანიანთა სიცოცხლეები მნიშვნელოვანია“) კამპანიის კონტექსტში ავრცელებდა. მის მიხედვით, ქართველი „ფსევდოლიბერალები“ ამერიკელი კონფედერატების ძეგლების დამხობას ამართლებენ, მაგრამ 300 წლის წინ თურქეთის მიერ 1.5 მილიონი ქართველის მონათა ბაზარზე გაყიდვასთან დაკავშირებით პროტესტს არ გამოთქვამენ; ხოლო ანაკლიაში 1.5 მილიონი გაყიდული ქართველის ძეგლის დადგმის მოთხოვნის ინიციატორებს „რუსეთის აგენტები“ უწოდეს და თურქეთთან ომის პროვოცირებაში დაადანაშაულეს.

ასევე, მაისი-ივნისის მონიტორინგის ფარგლებში გამოვლინდა ნარატივი, რომლის მიხედვითაც რუსეთის „დროებითი ოკუპაციის“ გარდა თურქეთის მიერ სამუდამოდ ოკუპირებულ საქართველოს ძირძველ 34%-ზეც და [აზერბაიჯანის მიერ] დავით გარეჯის მიტაცების მცდელობაზეც უნდა გავამახვილოთ ყურადღებით და გავავრცელოთ ისეთი მესიჯები, როგორიცაა „თურქეთი ოკუპანტია“ და „დავითგარეჯა საქართველოა“

ქვეყნის შიგნით მიმდინარე პროცესებზე გავრცელებული დეზინფორმაცია

მაის-ივნისის პერიოდში, ქვეყნის შიგნით მიმდინარე საკითხებზე დეზინფორმაციისა და პროპაგანდის გავრცელებით განსაკუთრებით გამოირჩეოდა გამოცემა „თვალსაზრისი“, რომელიც ასევე შეუფერხებლად ავრცელებდა სიძულვილის ენის შემცველ მასალასაც. ტრადიციულად აქტიური იყო „საქართველო და სოფლიო“ და რამდენიმე Facebook გვერდი - “ანტილიბერალური დოქტრინა“, „ახალგაზრდული“.

მაის-ივნისში, დავით გარეჯისა და მარნეულში ნარიმანოვის ძეგლის ირგვლივ განვითარებული მოვლენები, რადიკალურმა და ნაციონალისტურმა ჯგუფებმა შოვინიზმისა და ეთიკური შუღლის გასაღვივებლად გამოიყენეს. „თვალსაზრისმა“ გაავრცელა „უფლებადამცველთა გაერთიანების“ თავჯდომარის, ნიკოლოზ მჟავანაძის, Facebook სტატუსი, სადაც ის აზერბაიჯანელებს სეპარატისტებს უწოდებდა და სახელმწიფოს მეტი ყურადღებისკენ მოუწოდებდა სანამ „ქვემო ქართლსაც გარეჯივით მიიტაცებდნენ“. ნიკოლოზ მჟავანაძის კიდევ ერთი ინტერვიუ გამოაქვეყნა გაზეთმა „ალიამ“, სადაც ის უკვე აზერბაიჯანს ღიად უწოდებს ოკუპანტს და რუსეთთან ათანაბრებს მას.

„საქართველო და მსოფლიომ“ პოლიტიკური პარტია „ქართული იდეის“ ლიდერთან, ლევან ჩაჩუასთან, ინტერვიუ გამოაქვეყნა, სადაც ის აზერბაიჯანელ სამხედროებს დავით გარეჯის ანექსიასა და ოკუპაციაში ადანაშაულებს და აზერბაიჯანელებს ოკუპანტებად მოიხსენიებს. შოვინიზმის და სიძულვილის ენის გამოხატულება იყო „თვალსაზრისის“ მიერ Facebook-ის ერთ-ერთი მომხმარებლის პოსტის გამოქვეყნებაც, სადაც ის აკრიტიკებდა სახელმწიფოს მიდგომას აზერბაიჯანულ ენაზეც მიეწოდებინათ კორონავირუსის საწინააღმდეგო უსაფრთხოების ზომების შესახებ ინფორმაცია ეთნიკური აზერბაიჯანელებისთვის. “თვალსაზრისმა“ ასევე გააზიარა ემიგრაციაში მყოფი ქართველი Facebook მომხმარებლის მოსაზრება, სადაც ის სახელმწიფოს მოუწოდებდა, რომ ყველა ქართული ენის არ მცოდნესთვის შეეჩერებინათ საქართველოს მოქალაქეობა.

რუსეთის მსგავსად აზერბაიჯანიც ცდილობს საქართველოს ოკუპაციას და ანექსიას

„თვალსაზრისმა“ პოლიტოლოგ ჯუმბერ კირვალიძის მოსაზრება გააზიარა, სადაც ის ამტკიცებდა რომ პროდასავლური კურსის შენარჩუნების შემთხვევაში საქართველო ვერასოდეს შეძლებს ოკუპირებული ტერიტორიების დაბრუნებას.

ვინ ქართულ ენას არ ფლობს ის ვერ იქნება საქართველოს სრულფასოვანი მოქალაქე და მათ სახელმწიფომ მოქალაქეობა უნდა შეუჩეროს

მემარჯვენე და ნაციონალისტური ჯგუფებისთვის კვლავ აქტუალური იყო ე.წ. „ბავშვთა კოდექსის“ საკითხი. „საქართველო და მსოფლიოსთვის მიცემულ ინტერვიუში, ლევან ჩაჩუამ ისაუბრა საქართველოს პარლამენტის მიერ მიღებულ „ბავშვის უფლებათა კოდექსზე“, სადაც ამტკიცებდა, რომ ახალი კოდექსი მიზნად დასავლეთისგან თავსმოხვეული „ლიბერასტული“ ღირებულებების დაცვას ისახავდა. ჩაჩუა ამტკიცებდა, რომ ახალი კოდექსით ძალადობად ითვლება თუ მშობელი არასრულწლოვან შვილს თამბაქოს ან ალკოჰოლის მოხმარებას აუკრძალავს, ან შენიშვნას მისცემს გარეგნული იერსახის გამო და რომ ეს ყოველივე ოჯახის ინსტიტუტის დანგრევისკენ მიმართული გამიზნული პოლიტიკაა.

„თვალსაზრისმა“ გაავრცელა ჟურნალისტ გია გაბრიჭიძის მოსაზრება, სადაც ის ქართულ არასამთავრობო ორგანიზაციებსა და სახალხო დამცველ, ნინო ლომჟარიას, დემოკრატიის უმთავრეს მტრებად მოიხსენიებდა.

Facebook გვერდი „ანტილიბერალური დოქტრინა“ ამტკიცებდა, რომ „ფეისბუქის ადმინისტრაციის ინფორმაციით ნაციონალური მოძრაობა 23800 დოლარით არეკლამებდა ანტიმართლმადიდებლური გვერდებს, რომლებიც წმინდანებზე მკრეხელურ და შეურაცხმყოფელ პოსტებს აქვეყნებდნენ“. „საქართველო და მსოფლიო“ გამოეხმაურა Facebook-ის მიერ “ნიუსფრონტთან“ დაკავშირებული ქსელის პლატფორმიდან წაშლას და მას არადემოკრატიული და სიტყვის თავისუფლების შეზღუდვისკენ გადადგმული ნაბიჯი უწოდა. ამ პროცესში მთავარ დამნაშავედ კი ქართული „სოროსისტული“ ორგანიზაციები და განსაკუთრებით ISFED გამოაცხადა.

ლუგარის ლაბორატორია ამერიკელების სამხედრო ინტერესებს ემსახურება და იქ საიდუმლო საქმიანობა მიმდინარეობს

„საქართველო და მსოფლიომ“ ვრცელი სტატია მიუძღვნა ლუგარის ლაბორატორიას, სადაც თითქოსდა ცდილობდა ნეიტრალური თვალით შეეფასებინა ლაბორატორიის მუშაობა, თუმცა მთელ სტატიას ლაიტმოტივად გასდევდა აზრი, რომ ლუგარის ცენტრი იყო გაუმჭვირვალე ობიექტი, რომლის მშენებლობა და ფუნქციონირება უამრავ საიდუმლოებასთანაა დაკავშირებული. გამოცემა ამტკიცებდა, რომ თითქოს თავად ამერიკელებსაც საეჭვოდ მიაჩნდათ ლაბორატორიის მუშაობა და ამის მაგალითად ჟურნალისტ ჯეფრი სილვერმანის სტატია მოჰყავდა, სადაც ის საუბრობდა ლაბორატორიის აეროპორტთან სიახლოვეზე, რაც ლოჯისტიკურად მარტივს ხდიდა ლაბორატორიიდან საიდუმლო ბიოლოგიური იარაღის თვითმფრინავებში შეუმჩნევლად ჩატვირთვას. კიდევ ერთ სტატიაში, „საქართველო და მსოფლიო“ ამტკიცებდა, რომ ლუგარის ლაბორატორიაში საიდუმლო ცდები მიმდინარეობს, რომელიც იმდენად სახიფათოა, რომ ამერიკელები მათ საკუთარ ტერიტორიაზე განხორციელებას ერიდებიან და ამისთვის საქართველოს იყენებენ. Sputnik Ossetia-მ ასევე ვრცელი სტატია მიუძღვნა ლუგარის ლაბორატორიას, სადაც საუბრობდა მისი საქმიანობის გაუმჭვირვალობაზე და საერთაშორისო სტანდარტების შესაძლო დარღვევებზე, რაც უნისონში მოდიოდა რუსეთის ოფიციალური უწყებების და განსაკუთრებით რუსეთის ფედერაციის საგარეო საქმეთა სამინისტროს სპიკერის, მარია ზახაროვას, ერთი თვით ადრე გაკეთებულ განცხადებასთან.

მაის-ივნისში, დეზინფორმაციის ერთ-ერთი მთავარი სამიზნე გახდა ე.წ. 5G ტექნოლოგია, რომელიც, მიუხედავად იმისა რომ საქართველოში ჯერ არ ფუნქციონირებს და კომუნიკაციების მარეგულირებელმა კომისიამ 2020 წლის ბოლომდე მხოლოდ სატესტო რეჟიმში ამუშავებისთვის გასცა ნებართვები, მაინც მოექცა ანტიდასავლური აქტორების ყურადღების ცენტრში. 5G ტექნოლოგიების მიმართ განსაკუთრებული აქტიურობით გამოირჩეოდა ონლაინ გამოცემა „თვალსაზრისი“. 3 მაისს, „თვალსაზრისზე“ გამოქვეყნდა პროფესორ ზურაბ ქუმსიაშვილის მოსაზრება, სადაც ის საუბრობდა 5G ტექნოლოგიისგან მომდინარე საფრთხეებზე. ქუმსიაშვილის მტკიცებით „ის ფორსირებული პროპაგანდა, რომელიც 5G ტექნოლოგიის სარგებლიანობაზე და უსაფრთხოებაზეა ატეხილი მსოფლიოში, ამ ტექნოლოგიის დამნერგავი კომპანიების და

პერსონების მიერ არის დაფინანსებული და გათვლილია, ამ საკითხში საშუალოზე დაბალი განათლების მქონე მასებზე, რომლებიც საზოგადოების უმრავლესობას შეადგენენ". მისი მტკიცებით, ეს ტექნოლოგია ახდენს იმუნიტეტის დაქვეითებას და სხეულის ტემპერატურის მომატებას, რაც შეუსაბამობაში მოდის კონსტიტუციასთან. ამავე თემაზე, ქუმსიაშვილის კიდევ ერთი ინტერვიუ „თვალსაზრისმა" 25 მაისსაც გამოაქვეყნა, სადაც ის გაცილებით შერბილებულ ტონში, საუბრობდა ამ ტექნოლოგიის შესახებ, თუმცა იმეორებდა მოსაზრებას, რომ ის სახიფათოა მწერებისა და ფრინველებისთვის და რომ ფუტკრებს გადაშენებით ემუქრება.

„თვალსაზრისმა"გამოაქვეყნა ვიდეო, რომელშიც ერთ-ერთი Facebook მომხმარებელი „სპეციალური აპარატის" გამოყენებით ზომავს 5G-ის გადამცემ ანტენებთან სიახლოვეს არსებულ გამოსხივებას, რომელიც მის მიერ მოწოდებული ინფორმაციით მკვეთრად აღემატება დასაშვებ ზღვარს და კრიტიკულად საზიანოა ადამიანის ჯანმრთელობისთვის. „თვალსაზრისმა" ასევე გააზიარა manifest.ge-ზე ერთ-ერთი მომხმარებლის მიერ წამოწყებული პეტიცია, რომელიც მიმართავს შესაბამის სახელმწიფო ორგანოებს, რომ შეჩერდეს 5G ტექნოლოგიის დანერგვა საქართველოში. „თალსაზრისმა" საკუთარ ვებგვერდზე ასევე განათავსა ინფორმაცია საქართველოში 2020 წელს დაგეგმილ 5G ტექნოლოგიის საწინააღმდეგო აქციაზე, სადაც კორონავირუსის გამო დაწესებული შეზღუდვების მიუხედავად მოსახლეობას მოუწოდებდნენ პროტესტში მონაწილეობისკენ. Facebook გვერდი „ახალგაზრდულის" მტკიცებით კი 5G ადამიანების გასაკონტროლებლად შექმნილი ტექნოლოგია. „საქინფორმის" მთავარი რედაქტორი არნო ხიდირბეგიშვილი ამტკიცებდა, რომ თბილისში 5G ანძის სატესტო რეჟიმში ჩართვის დღეს მის ეზოში „დაიღუპა სამი ლამაზი და ჯანმრთელი ფრინველი - მტრედი, ბეღურა და წივწივა. თითქოსდა დისტანციური მართვის პულტის ისინი მთელი სისწრაფით შეეჯახნენ ჩემს ფანჯრებს და დაიღუპნენ".

კორონავირუსთან დაკავშირებული დეზინფორმაცია

მაის-ივნისის საანგარიშო პერიოდში kvlav აქტუალური იყო კორონავირუსთან დაკავშირებული დეზინფორმაცია. წინა თვეების მსგავსად, ვრცელდებოდა ყალბი ინფორმაცია კორონავირუსის წარმოშობის, მის უკან მდგარი გლობალური ელიტებისა და სამედიცინო-სამკურნალო საშუალებების შესახებ. აღსანიშნავია, რომ კორონავირუსთან დაკავშირებული დეზინფორმაციების გავრცელებაში აქტიურად მონაწილეობდნენ სასულიერო პირები და მათთან დაკავშირებული ჯგუფები.

კორონავირუსთან დაკავშირებული დეზინფორმაციის გავრცელებით კვლავაც გამოირჩეოდნენ გამოცემები „თვალსაზრისი", „საქართველო და მსოფლიო", საქინფორმი", „სპუტნიკი", Facebook გვერდები „ახალგაზრდული", „საქართველო უპირველეს ყოვლისა", „კარდჰუ".

მაის-ივნისის პერიოდში კვლავ აქტიურად ვრცელდებოდა შეთქმულების თეორიები კორონავირუსის წარმოშობისა და გლობალისტური ჯგუფების მიერ მისი საკუთარი მიზნებისთვის გამოყენების შესახებ. Facebook გვერდი „საქართველო უპირველეს ყოვლისა" ამტკიცებდა, რომ „ბილ გეითს, მსოფლიო ტერორისტს და კრიმინალს, რომელსაც სურს მოსახლეობის რაოდენობის

შემცირება ვაქცინაციის გზით და ამისთვის არ იშურებს ძალისხმევას და ფულს. ბილ გეითსმა დააფინანსა უჰანის ლაბორატორიაში ღამურებიდან კორონავირუსის აღება“.

ბილ გეითსი, ელონ მასკი და მასონური ჯგუფები მოსახლეობის 1 მილიარდამდე შემცირებას გეგმავენ

კიდევ ერთმა Facebook გვერდმა „კარდჰუმ“ გააზიარა მიხეილ ცაგარელის ვიდეო, სადაც იგი ამტკიცებს რომ ბილ გეითსი, ელონ მასკი და მასონური ჯგუფები კაცობრიობის 1 მილიარდამდე შემცირებას გეგმავს, რისთვისაც გამოიყენებენ კორონავირუსს და მის წინააღმდეგ შექმნილ სავალდებულო ვაქცინაციას, რომლის საშუალებითაც ადამიანების ორგანიზმში მიკროჩიპების შეყვანა მოხდება, ხოლო ვაქცინაციაზე უარის თქმის შემთხვევაში ჩვენს ციხეებში გამოკეტვას გეგმავენ.

„საქართველო და მსოფლიომ“, რუსულ წყაროებზე დაყრდნობით გამოაქვეყნა სტატია, სადაც ბილ გეითსს პანდემიის „ტროას ცხენად“ მოიხსენიებენ და ავითარებენ მოსაზრებას, რომ გეითსი წლებია მსოფლიო მოსახლეობის შემცირებას გეგმავს სხვადასხვა ვირუსული დაავადების გავრცელებით. „საქართველომ და მსოფლიომ“ რუსულ წყაროებზე დაყრდნობით კიდევ ერთი სტატია გამოაქვეყნა სადაც კორონავირუსის წარმოშობის შესახებ შეთქმულების თეორიები იყო განვითარებული. სტატიის მიხედვით, კორონავირუსის გამომწვევი შესაძლოა იყოს ამერიკელების მიერ მექსიკის ყურეში ჩაღვრილი ნავთობის გასაწმენდად ლაბორატორიაში შექმნილი ბაქტერია „სინტია“, რომელიც შემდგომ თევზების ორგანიზმიდან მოხვდა ჩინეთში, უჰანის ბაზრობაში, რამაც ადამიანებში კორონავირუსის ახალი ტიპის წარმოქმნა განაპირობა. „საქართველო და მსოფლიო“ ასევე მანიპულაციურად ავრცელებდა ინფორმაციას ამერიკაში მცხოვრები, წარმოშობით ჩინელი, მეცნიერის მკვლელობის შესახებ, რომელიც თითქოს კორონავირუსზე მისი გამოკვლევების და სავარაუდო სენსაციური აღმოჩენის გამო მოკლეს. „ნიუსფრონტმა“ გააზიარა ერთ-ერთი Facebook მომხმარებლის პოსტი, სადაც ის ქართველ ექიმზე დაყრდნობით ამტკიცებდა, რომ კორონავირუსი არ არსებობს საქართველოში და ის ჩვეულებრივი გრიპის ვირუსია. Facebook გვერდი „ახალგაზრდული“ კი ავრცელებდა ყალბ ინფორმაციას, რომ თითქოს 5G ანტენების მიკრო სქემების ნაწილს Covid-19 აწერია.

კორონავირუსი ჩვეულებრივი გრიპის ვირუსია და ის საშიში სულაც არ არის

დეზინფორმაციის სამიზნეში წინაა თვეების მსგავსად, კვლავ მოექცა ლუგარის ლაბორატორია და მასთან დაკავშირებული მითები. „თვალსაზრისმა“ “ევრაზია დეილის“ მიერ ლუგარის ლაბორატორიაზე გამოქვეყნებული „კვლევების“ ქართული კომპილაცია შემოგვთავაზა, სადაც კრემლთან დაახლოებული ბულგარელი ჟურნალისტი, დილარა გაიტანჯიევა, მანიპულაციურად საუბრობს ლუგარის ლაბორატორიაში, ქართველი და ამერიკელი ბიოლოგების ჩართულობით, 2012 წლიდან კორონავირუსულ

ამერიკელებმა სპეციალურად არ დაუშვეს საქართველოში COVID-19-ის გავრცელება, რათა ამაში ლუგარის ლაბორატორია არ დაედანაშაულებინათ

დაავადებებზე მიმდინარე კვლევებზე. „საქინფორმის“ მთავარი რედაქტორი, არნო ხიდირბეგიშვილი მკითხველს არწმუნებდა, რომ ამერიკელებმა საქართველოში სპეციალურად არ დაუშვეს კორონავირუსის გავრცელება, რათა ამაში ლუგარის ლაბორატორია არ დაედანაშაულებინათ. ცხინვალში მოქმედმა Sputnik Ossetia-მ ცალკე სტატია მიუძღვნა ლუგარის ლაბორატორიას, სადაც სხვა ძველ ნარატივებთან ერთად ლუგარის ლაბორატორია კორონავირუსს და მის შესაძლო ლაბორატორიულ წარმოშობასაც დაუკავშირეს. Sputnik Ossetia, რუსულ სპეცსამსახურებზე დაყრდნობით, ავრცელებდა ინფორმაციას, თითქოს ქართველები ლუგარის ლაბორატორიიდან ცდილობდნენ საშიში ვირუსების და მათ შორის კორონავირუსის ინფექციის, გავრცელებას ე.წ. სამხრეთ ოსეთის ტერიტორიაზე.

ვაქცინები მასონების ხელში არსებული იარაღია, რომლითაც მოსახლეობის შემცირებას ისახავენ მიზნად

მაის-ივნისის თვეში აქტიურად ვრცელდებოდა დეზინფორმაცია კორონავირუსის საწინააღმდეგო სამომავლო ვაქცინების და ვაქცინაციის შესახებ. პოლიტიკური პარტია „ქართული იდეის“ ლიდერი, ლევან ჩაჩუა, „საქართველო და მსოფლიოსთვის“ მიცემულ ინტერვიუში ამტკიცებდა, რომ ვაქცინაციით მსოფლიოს მოსახლეობის 1 მილიარდამდე შემცირებას შეეცდებიან და მოუწოდებდა მოსახლეობას რომ უარი თქვან არა მხოლოდ ვაქცინაციაზე, არამედ ვაქცინაციის მომხრე პოლიტიკურ კლასზეც. “თვალსაზრისმა“ გააზიარა მიხეილ ცაგარელის პოსტი, სადაც ის მოუწოდებდა მოსახლეობას, რომ არ გაიკეთონ ვაქცინა, რადგან ის მასონების ხელში არსებულ გადაჯიშების და მოსახლეობის გაწყვეტის იარაღს წარმოადგენს. „თვალსაზრისმა“ ასევე გამოაქვეყნა სტატია, სადაც რუსულ წყაროებზე დაყრდნობით ამტკიცებდა, რომ ბილ გეითსმა და ენტონი ფაუჩიმ წააგეს საქმე ამერიკის უზენაეს სასამართლოში, რომელმაც გადაწყვიტა, რომ ვაქცინები ვერ იქნება სავალდებულო, რადგან მათი უსაფრთხოების რეალური მტკიცებულება არ არსებობს.

პირბადეები არათუ გვიცავენ, არამედ ზრდიან კორონავირუსით ინფიცირების რისკს

ასევე, აქტიურად ვრცელდებოდა დეზინფორმაცია პირბადეების ტარების მავნებლობასთან დაკავშირებით. „თვალსაზრისის“ მტკიცებით, პირბადეების ხანგრძლივი ტარება იწვევს „ჯანმრთელობის პრობლემებს, გონების დაკარგვასა და კომას“. Facebook გვერდმა „საქართველო უპირველეს ყოვლისა“, Tvm.ge-ს მტკიცებით კი პირბადეები არათუ გვიცავენ კორონავირუსისგან, არამედ ზრდიან დაინფიცირების რისკს.

კორონავირუსთან დაკავშირებული დეზინფორმაციის გავრცელების ანალიზისას ცალკე შეგვიძლია გამოვყოთ სასულიერო პირების როლი. დეკანოზი საბა ჭიკაიძე ამტკიცებდა, რომ სამყაროს ჩრდილოვანი ძალები, ე.წ. მასონები მართავენ. დეკანოზის მოსაზრებით, ამ ჯგუფების მიზანია მოსახლეობის 1 მილიარდამდე შემცირება და ამის მთავარ იარაღად სწორედ კორონავირუსს იყენებენ. ვანისა და ბაღდათის მიტროპოლიტი, ანტონ ბულუხია, აცხადებდა, რომ მას პერიოდულად უგზავნიან მტკიცებულებებს, რომ კორონავირუსი შესაძლოა იყოს ბლეფი. ასევე, გააჟღერა მოსაზრება, რომ ვირუსის საწინააღმდეგოდ შექმნილი ვაქცინა იქნება ადამიანის

დამონების იარაღი. ხონისა და სამტრედიის ეპისკოპოსი, მეუფე საბა, ასევე ამტკიცებდა, რომ მალე დედამიწის მოსახლეობას შესთავაზებენ ვაქცინას, რომელიც იქნება იარაღი ეშმაკის ხელში. „კაცობრიობისა და ადამიანებისთვის შემოთავაზებული იქნება ვაქცინა, რომელიც არა ვირუსს, არამედ მათ დამონებას, მართვას, დამორჩილებას მოემსახურება. ეს გახდება ერთ-ერთი მნიშვნელოვანი იარაღი ეშმაკის ხელში, რომ ადამიანები მართოს“. ანტივაქსერული მოწოდებებით გამოირჩეოდა, დეკანოზი შალვა კეკელიაც, რომელმაც განაცხადა, რომ თუკი ვაქცინის გარეშე ადამიანები ვერ შეძლებენ მოგზაურობას ან მუშაობას, მაშინ ეს ნიშანი იქნება, რომ სინამდვილეში ის სხვა მიზნებს მოემსახურება. ასეთ შემთხვევაში მამა შალვა აცხადებს რომ, არც თავად გაიკეთებს ვაქცინას და სხვებსაც იგივეს გამეორებისკენ მოუწოდებს. საპატრიარქოს ფონდის მმართველი საბჭოს წევრი, გიორგი ანდრიაძე, ამტკიცებდა, რომ პირბადის ტარება მავნებელია ჯანმრთელობისთვის და მას ნეოტროცკისტულ, ნეომარქსისტულ იდეოლოგიურ სიმბოლოს უწოდებდა. მამა სებასტიანე ნეფარიძემ ასევე პირბადეების წინააღმდეგ გაილაშქრა და სოციალურ ქსელში წერდა, რომ პირბადეების სავალდებულო ტარების შემოღების წესი სასიკვდილო განაჩენი იყო სასუნთქი გზების დაავადებების მქონე ადამიანებისთვის.

„საქართველო და მსოფლიოსთვის“ მიცემულ ინტერვიუში, თეოლოგი ვაჟა ოთარაშვილი ამტკიცებდა, რომ დასავლური, ლიბერალური ინსტიტუტები და ორგანიზაციები კორონავირუსის საბაბით ებრძვიან ქართულ, მართლმადიდებლურ ეკლესიასა და მის წინამძღოლს, ილია II-ს. „მათი უმთავრესი მიზანი ამ შემთხვევაში არის ის, რომ ადამიანს წაართვან სულიერო საზრდო, დააშორონ უფალს და აქციონ დაპროგრამებულ უსულო საგნად, რომელიც მუდმივად იქნება მსოფლიო გლობალისტური ძალების ტოტალური კონტროლის ქვეშ“.

დასავლური ლიბერალური ინსტიტუტები კორონავირუსის საბაბით ებრძვიან ქართულ მართლმადიდებლურ ეკლესიას

ანგარიშში მოხვედრილი წყაროების სტატისტიკა



ძირითადი აქტორების სტატისტიკა

საქართველოს რეფორმების ასოციაცია (GRASS) არის მრავალპროფილური ანალიტიკური ცენტრი, რომელიც დაარსდა 2012 წლის ოქტომბერში. GRASS-ის საქმიანობის ძირითადი მიმართულებები მოიცავს საქართველოს საგარეო, უსაფრთხოების, დეზინფორმაცია/პროპაგანდის საკითხების, საჯარო პოლიტიკისა და საჯარო ადმინისტრირების სფეროს კვლევასა და მის სიღრმისეულ ანალიზს.